




# ხაშურის მთაშუა



№12 (193)

25 მარტი, ორშაბათი,

2019 წელი



- შიდა ქართლი -

## საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

გიორგი ხოჯევანიშვილმა რწმუნებულის ადმინისტრაციაში საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გამართა. სხდომას შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები ესწრებოდნენ.

რწმუნებულმა რეგიონში პროექტების მიმდინარეობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. შეკრებილებმა შიდა ქართლის რეგიონის 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ იმსჯელეს. მიმდინარე წელს, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, დამატებით კიდევ 14 მილიონ ლარამდე ღირებულების სამუშაოები განხორციელდება.

## ლუკა მაისურაძის ბრინჯაო – გრანდ სემზე

ახლახანს, სანკტ-პეტერბურგში დამთავრებულ ძიუდოს საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც „გრანდ სემის“ ოფიციალური სტატუსიც აქვს, დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენმა თანამოქალაქემ ლუკა მაისურაძემ – იგი ბრინ-



ჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ეს წარმატება ორმაგად სასიხარულოა იმით, რომ ლუკასთვის ეს, პრაქტიკულად, პირველი გამოსვლა იყო დიდებში. იგი სულ ახლახანს გასცდა მოზარდთა ასაკს და სასიხარულოა, რომ უკვე დიდების ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 81 კგ საკმაოდ პრობლემური წონაა საქართველოს ნაკრებში და ამ წარმატების შემდეგ, ვფიქრობთ, ბევრი კითხვა აღარ უნდა იყოს, თუ ვინაა ამ წონაში პირველი ნომერი. ტურნირზე ოლიმპიადის სალიცენზიო ქულებიც თამაშდებოდა და ამ ბრინჯაომ ლუკას ეს ქულებიც მოუტანა. ვფიქრობთ, ამ უნიჭიერეს სპორტსმენს, არ უნდა გაუჭირდეს ნაკრებში ადგილის დამკვიდრება. თუმცა, ჩვენ მეტი ვესურს და მისი სახით მოახლოებულ ოლიმპიადაზე გვინდა, ჩვენს მუნიციპალიტეტს თავისი წარგზავნილი ჰყავდეს. და ერთიც: ზემოაღნიშნულ ტურნირზე ლუკას გდება, რომელიც მან ბრინჯაოს ფინალში შეასრულა, იმდენად ლამაზი გამოვიდა, რომ საუკეთესოთა შორის მეორე ადგილზე დასახელდა. ვულოცავთ ლუკას! წარმატებები არ მოკლებოდეს. იმედი გვაქვს, ასეთი გამარჯვებებით კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს. წინ, ლუკა!

## სურამში ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში, თამარ მეფის პირველი და მესამე ჩიხების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

მოასფალტების დაწყებამდე, მოსამზადებელი სამუშაოები, ადგილზე მონახულეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ ზვიად ქურდაძემ.

პროექტი, რომელიც ჯამში 658 757 ლარს ითვლის, ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში, მოეწეობა 1140 მეტრი გზის მონაკვეთი.

თამარ მეფის პირველი და მესამე ჩიხების მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდ არის დასახლებული, გარდა ამისა, აქ ტურისტების რაოდენობა დიდია. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

აღნიშნული გზით, 1000- მდე ადგილობრივი მცხოვრები და ტურისტი ისარგებლებს.

აღსანიშნავია, რომ სურამის ტურისტული პოტენციალის გაზრდისათვის, უკანასკნელ პერიოდში, ბევრი რამ კეთდება როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი ძალებით. იმედია, ეს ტემპი კიდევ უფრო გაიზრდება და ხელისუფლების ჩანაფიქრი, რომ 4-5 წელიწადში, სურამში, ტურისტების და ვიზიტორების რაოდენობა სულ მცირე გაორმაგდეს, რეალობად იქცევა.



## VII საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 100 ათასი ლარი დაიხარჯება

ხაშურში VII საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

რემონტდება საკლასო ოთახები, ეწყობა სველი წერტილები და შენობის გარე სადრენაჟე არხი.

სამუშაოების მიმდინარეობადაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ ზვიად ქურდაძემ.

დაწყებულია მუშაობა მეორე კორპუსის ფასადის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზეც. ფასადის რეაბილიტაცია მიმდინარე წელს განხორციელდება.

VII საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და ჯამში 100 000 ლარს ითვლის.



გასულ დღეებში, სურამში, ზინდისის ტერიტორიაზე, შიდა ქართლის სატყეო სააგენტოს მიერ, განხორციელდა ხეების მოჭრა, რასაც სურამელთა ვნებათაღელვა და პროტესტი მოჰყვა. ადგილზე, შიდა ქართლის სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატიც იმყოფებოდა, რომლებსაც მწვავე საუბრის ფონზე მოუხდათ სიტუაციის შედარებით განმუხტვა. ადგილობრივთა თქმით, აღნიშნული მუხის ხეები მრავალწლოვანი იყო, ფესვებით ამაგრებდა მიწას, იცავდა შესაძლო მეწყერისაგან და სრულებით არ საჭიროებდა მოჭრით

რომ ეს ნაბიჯი მომავალი თაობების საკეთილდღეოდ კეთდება.  
- რამდენი ხე მოიჭრა ტერიტორიაზე და სანაცვლოდ, რამდენის დარგვას აპირებთ?

## სურამში, ზინდისის ტყე- პარკში, 6 ათასი ძირი მუხა და იფანი დაირგვება

- 90 ხე შევარჩიეთ, რომლებიც მეტისმეტად დაზიანებული იყო, აქედან 73 ხის სანიტარული მოჭრა განხორციელდა. დაგეგმილია, სანაცვლოდ 6000 ხის დარგვა, აქედან 4500 ძირი მუხა და 1500 ძირი იფანი.  
- მოჭრილ ხეებს რა ბედი ეწევ-

ათ?

- მოჭრილი 73 ხე ჩამოვიტანეთ, დაგჭერით და დავასაწყობეთ - სულ 65 კუბამეტრი შეადგინა, რომელიც 3 სკოლას გადაეცემა: 20 კუბამეტრი ბეკის სკოლას, 30 - პატარა სატივის და 30 კუბამეტრი - ნახატვის სკოლას.

- ზემოთ აღნიშნულ პროექტის დამტკიცების შესახებ, უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?

- მოგახსენებთ, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისთვის, პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: ფართობის ბუჩქნარისგან გაწმენდა, ფართობის შემოღობვა, სარგავი ადგილების მომზადება, დარგვა და შემდგომში, მათი მოვლა-შევსება.

- უფრო ვრცლად რომ განვიხილოთ აღნიშნული პუნქტები..

- საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულია სხვადასხვა სისხირის ბუჩქნარი, რომლებიც ხელს უშლიან ხეებიდან ჩამოცვენილი თესლის აღმოცენებას. ამის ხელშემშლელი ფაქტორია აგრეთვე დაკორდებული ნიადაგი, რისთვისაც საჭიროა ფართობის აჩინქენა, ამ დროს ხდება ნიადაგის გაფხვიერება და მასში მოხვედრილი თესლის გაღვივების უზრუნველყოფა. ტყის ბუნებრივი განახლება თესლით მთელ რიგ პირობებზეა დამოკიდებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ხეების თესლმსხმოიანობა და თესლის ფართობზე მოფანტვის შესაძლებლობა.

- საჭირო გახდება პერიმეტრის შემოღობვაც..

- დიახ, ფართობი დაბა სურამის მიმდებარეა და მასზე მუდმივად ხდება როგორც მოსახლეობის, ასევე დამსვენებლების სისტე-



სამუშაოებს. კომპეტენტური პასუხების მისაღებად, ჩვენ, შიდა ქართლის სატყეო სააგენტოს ვესტუმრეთ და მის ხელმძღვანელს გიორგი ნიკოლაიშვილს ვესაუბრეთ.

- ბატონო გიორგი, რის საფუძველზე მოიჭრა ზინდისის ტერიტორიაზე ხეები?

- ეროვნული სატყეო სააგენტოს №34 ბრძანების საფუძველზე. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ შიდა ქართლის სატყეო სამსახურის ხაშურის სატყეო უბნის სურამის სატყეოს - 3,3 ჰა მიწის ფართობზე, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით, დამტკიცდეს ტყის აღრიცხვისა და კვლავწარმოების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული თანდართული ტყის აღდგენის პროექტი.

- ადგილობრივები აღნიშნულ ფაქტს უარყოფითად აფასებენ, რატომ გახდა საჭირო მუხების მოჭრა?

- ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში, ეროვნული სატყეო სააგენტოს ფიტოანთოლოგების მივლინების შედეგად, შესწავლილი იქნა ხაშურის სატყეო უბნის სურამის სატყეოში არსებული კორომების მდგომარეობა. ფართობზე არსებული მუხნარი კორომების კვლევისას გამოვლინდა, რომ სანიტარული მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. ფართობზე მრავლადაა ზეხმელი და ძლიერ დაზიანებული მუხის ხეები. მავნებლებიდან გამოვლინდა მუხის დიდი ხარაბუხას არსებობის დამადასტურებელი ნიშნები, როგორცაა: ქერქზე ხვრელები, ნაღრენი, ქერქის ქვეშ მერქანისა და გულში მსხვილი სასულელები. გამომდინარე იქიდან, რომ დღემდე ცნობილი არ არის



მუხის დიდი ხარაბუხას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების მეთოდი, გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ მუხის ხეებისგან გაიწმინდოს კორომი, სანიტარული ჭრით, რაც ხელს შეუწყობს მავნებლის რიცხოვნობის შემცირებას. რაც შეეხება პროტესტს, აღნიშნული მდგომარეობა ადგილობრივებსაც გავაცანით, მათ უნდა გაითვალისწინონ,

მატიური გადაადგილება, ასევე საქონელის მოვებაც. ტერიტორიაზე გადაადგილების შედეგად, შექმნილია 2 ბილიკი, ამის გათვალისწინებით, ფართობი შემოიღობება ორ მონაკვეთად. სულ, შესაღობი ტერიტორიის მთლიანი პერიმეტრი შეადგენს 1100გრძ.მ-ს. შეღობვა გათვალისწინებულია მეტალის და ხის ბოძებით, რომელთა საჭირო რაოდენობა შეადგენს 550 ცალს. მათი სიმაღლე უნდა იყოს 2 მ, საიდანაც 0,5 უნდა ჩამაგრდეს ნიადაგში მყარად.

- როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა საქართველოში ტყის საფარის მოწესრიგებას და მათ მოვლა-პატრონობას.

- დიახ, ნამდვილად ასეა. ტყის ბუნებრივი განახლება მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც ჩვენი, ადამიანების ჩარევის გარეშე ძალიან ჭიანჭურდება. უპირატესობა სწორედ ტყეების ბუნებრივ განახლებას ენიჭება, ვიდრე ხელოვნურად გაშენებულ ტყის კორომებს. ისინი გამოირჩევიან სიცოცხლისუნარიანობის გაცილებით მაღალი მაჩვენებლით, პროდუქტიულობით, ბიოლოგიური და ეკოლოგიური მდგრადობით. ეროვნული სატყეო სააგენტო სწორედ ამ მიმართულებით ცდილობს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ცდას არ ვაკლებთ, რომ ჩვენი არსებობის ამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ.

P.S. ინტერვიუს ჩაწერის მეორე დღესვე, ზემოთაღნიშნულ ტერიტორიაზე, დაგეგმილი, მასშტაბური ხეების დარგვის აქცია მოეწყო, როგორც ბატონმა გიორგიმ საუბარში აღნიშნა, საქმე ეხება 6000 ძირ ხეს, რომელიც მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯი იქნება სამომავლოდ სურამის, როგორც საკურორტო ზონის განვითარებისთვის.

თინა ახალკაცი

### გარევაჭრობა, ხაშურში, მეცნაკლებად, მოგვარებულია

გარევაჭრობა დიდი ქალაქებისთვის, დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება, მიუხედავად სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციული სასჯელისა, ფაქტები არც თუ ისე იშვიათია. რაც შეეხება ჩვენს ქალაქს, ამ მხრივ, სიტუაცია ნამდვილად განსხვავებულია. იშვიათად ფიქსირდება გარევაჭრობის ფაქტები, რომლებზეც ზედამხედველობის სამსახური მუხიერად რეაგირებს. რა ითვლება გარევაჭრობად, როგორ ისჯებიან გარემოვაჭრეები, ამ საკითხებზე, ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელ ოთარ მახარაშვილს ვესაუბრეთ:

– იყო დრო, როცა გარევაჭრობა მართლაც დიდ გამოწვევას წარმოადგენდა ჩვენი ქალაქისთვის, რაც, მოგეხსენებათ, არაერთ ჰიგიენურ-სანიტარულ პრობლემას, ქაოსს და სხვადასხვა ტიპის გართულებებს ქმნიდა ქალაქში. დღეს ეს პრობლემა აღარ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ გვესმის ადამიანების მდგომარეობა, მაინც აუცილებელია რაღაც ნორმებს ვემორჩილებოდეთ, მითუმეტეს, როცა არსებობს ალტერნატივა კეთილმოწყობილი სავაჭრო დახლების სახით.

– გარევაჭრობასთან დაკავშირებით, რა შედის ზედამხედველობის სამსახურის უფლება-მოვალეობაში?

– დაჯარიმების ან ქონების კომფისკაციის, ჩამორთმევის, ან ოქმის დაწერის უფლება პოლიციის პრეროგატივაა. ზედამხედველობის სამსახურს, კანონმდებლობის შესაბამისად, ამის უფლება არ გააჩნია. ერთადერთი ფაქტი, როცა შეგვიძლია დავაჯარიმოთ, მხოლოდ ის შემთხვევაა, როცა ხდება ტერიტორიის შეზღუდვა, რაც ფეხით ან მანქანით მოსიარულეებს უქმნის დისკომფორტს. თავდაპირველად, გაფრთხილება ხდება, როდესაც ფაქტი განმეორებადია, შემდეგ ხდება დაჯარიმება. სიტუაცია ბევრად რთულია ბოშებთან დაკავშირებით, რადგან ხშირ შემთხვევაში, მათ არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ართულებს მათთან სამართლებრივ ურთიერთობას. გაფრთხილებას არ ემორჩილებიან და დაჯარიმებაც, ტექნიკური მიზეზების გამო, ფაქტობრივად, ვერ ხერხდება.



– არსებობს კონკრეტული ადგილი, სადაც ყოველდღიურად ვხვდებით მცირე ტიპის სავაჭრო დახლებს. არის თუ არა ეს გარევაჭრობა, ან რასთან გვაქვს საქმე?

– დღევანდელი მდგომარეობით, სიტუაცია ნამდვილად დამაკმაყოფილებელია ჩვენს ქალაქში. რაც შეეხება კონკრეტულ ადგილს, რუსთაველის ქუჩაზე, იგი კერძო საკუთრებაშია და მესაკუთრე აძლევს გარემოვაჭრეებს იქ ვაჭრობის შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი კომპეტენცია არ მოქმედებს. ლოკალურად, შეიძლება რამდენჯერმე დაფიქსირდეს გარევაჭრობის ფაქტი, რომელიც გაფრთხილებას ექვემდებარება და ინტენსიური ხასიათიც არ აქვს. ასეთი ერთჯერადი ფაქტები, ვფიქრობ, დისკომფორტს არ უქმნის მოსახლეობას.

თ. ჯავახიშვილი



### ფლევში, სკოლის მშენებლობა, ახალი სასწავლო წლისთვის, დასრულებული იქნება

სოფელ დიდ ფლევში საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

ძველი შენობა წლების განმავლობაში ავარიული იყო, ამიტომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახალი შენობის მშენებლობა გადაწყდა და 3 მილიონამდე ლარი გამოიყო.

მიმდინარე სამუშაოები უახლოეს პერიოდში დასრულდება და სკოლაში სასწავლო პროცესი სექტემბრიდან დაიწყება.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საჯარო სკოლაში, ამ ეტაპისთვის 94 მოსწავლე სწავლობს და 21 მასწავლებელია დასაქმებული. თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი შენობა კი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდნენ და სამომავლო ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრეს.

### ნუ დარჩები მიღმა

“ნუ დარჩები მიღმა” ასეთი გზავნილით აღინიშნა წელს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. ამ დღეს, ხაშურის “მომავლის სახლი” სხვადასხვა ღონისძიებებით შეხვდა. 20 მარტს, გორში გაიმართა მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება, სადაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები სასურველ პროფესიებზე საუბრობდნენ. შეხვედრას, გორისა და ქარელის თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. 21 მარტს კი “მომავლის სახლი” თბილისს ეწვია, გრიბოედოვის თეატრში გამართულ ინტეგრირებულ კონცერტში “მზის სხივი” წარმატებული მონაწილეობისთვის, “მომავლის სახლს” დიპლომები გადაეცათ. მრავალფეროვანი აქტივობები და გასართობები შესთავაზა მთაწმინდის პარკის ადმინისტრაციამ, სადაც “მომავლის სახლის” ბავშვებმა თავი გამოიჩინეს და სიგელებიც მიიღეს.

ნინო აბაიაძე, კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრ “მომავლის სახლი“-ს მენეჯერი:

– როგორც მოგეხსენებათ, 21 მარტს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნება, ჩვეც, დაარსების დღიდან აქტიურად ვართ ჩართულები ღონისძიებებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სასასარგებლოა ჩვენი ბავშვებისთვის. 20 მარტს ფილმის პრეზენტაცია შედგა, სადაც ბავშვებმა ერთი დღით სასურველი პროფესიით იცხოვრეს, ზოგი მშენებელი იყო, ზოგი ჯარისკაცი, ჟურნალისტი, მსახიობი. შიდა ქართლიდან 10 ბავშვი მონაწილეობდა ფილმში, აქედან, 6 ჩვენი ბენეფიციარი გახლდათ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, მხარდამჭერ ორგანიზაციებს და ყველა ჩართულ ადამიანს

მხარდაჭერისთვის. წელს, ყველაზე მასშტაბურად აღინიშნა ეს დღე, რაც გვაძლევს იმედს, რომ საზოგადოება ყოველდღიურად უფრო მიმდები ხდება და აცნობიერებს, რომ ესაა მდგომარეობა და რომ მეგობრები ქრომოსომებს არ უნდა ითვლიდნენ.



### ებრაელ ვაჭართა „საიდუმლო ენა“ - სლენგები, რომელიც სურამსა და ხაშურში ფართოდ იყო გავრცელებული

ქუთაისელმა ჟურნალისტმა და მწერალმა ნანული ცხვედიანმა, საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა „ებრაელები ქუთაისში“, სადაც ცხოვრების წესის და ტრადიციების შესახებ, ბევრ უცნობ დეტალს აღწერს. ამ ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესო თემა ებრაელი ვაჭრების „საიდუმლო ენა“, რომლის ნარჩენები ქართულ ენაში დღემდე შემორჩა. „საიდუმლო ენას“, ბუნებრივია, სურამელი ებრაელებიც აქტიურად იყენებდნენ. უფრო მეტიც: ეს სლენგები იმდენად პოპულარული იყო, რომ სურამში და ხაშურში, განსაკუთრებით ახალგაზრდულ წრეებში, ყველა იცნობდა და მუდმივი მოიხმარების საგანიც გახლდათ.



მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დამდეგს, სავაჭრო ურთიერთობების განვითარების პირობებში, შეიქმნა ებრაელთა „საიდუმლო სავაჭრო ენა“. ამ თავისებური ენის დანიშნულებას, უმთავრესად, კლიენტებისაგან ვაჭრობის საიდუმლოს დაცვა წარმოადგენდა, - აღნიშნავს ავტორი. თვითონ ებრაელები ამ ჟარგონულ მეტყველებას „ყივრულს“ უწოდებდნენ. მას დიდი გამოყენება ჰქონდა ვაჭართა შორის და უმთავრესად, შეამხანაგებელი ებრაელი ვაჭრები მიმართავდნენ. ზოგადად, ებრაელთა საყოფაცხოვრებო მეტყველებაში კი შედარებით მცირე, თუმცა გარკვეული ადგილი ეჭირა.

მაინც რას წამოადგენდა „საიდუმლო-სავაჭრო ენა?“ ეს იყო ებრაული სიტყვების ძირზე ქართული პრეფიქს-სუფიქსების დართვით მიღებული ლექსიკური ერთეულები. მაგალითად „ვისოხარე“. ქართული გაგებით ეს სიტყვა ნიშნავს: „ვივაჭრე“. ავტორის თქმით, ის წარმოებული უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვისგან „სოხერ“ - ვაჭარი. ამ შემთხვევაში, ძველებრაული ძირს დაერთო „ვი“ და „ე“ ქართული აფიქსები.

ასეთივე ფორმითაა გადმოცემული სიტყვა „გავხრიდე“, რაც ქართული გაგებით, ნიშნავს: „გავყიდე“. სიტყვა „მოვატოვე“ ნიშნავს: „მოვატყუე“. „დაუადე“ ნიშნავს: „მიეცი“. ეს წარმოებული უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვისგან „იად“, რაც ხელს ნიშნავს.

აი, სურამში ყველაზე გავრცელებული ჟარგონები: აამსევრე (აიდე, აიყვანე), გაამსევრე (გაატანე), გაშეყვრდა (გადაიფიქრა), დააფანიელე (დამალე), დააგანაბა (მოიპარა), დალეხდა (წავიდა), დავაქამე (მოვატყუე), დანიხმე (გასინჯე, შეხედე), ეთომარე (ელაპარაკე), ლევანი (თუმანი), მამონი (საქონელი), მოუბრიდე (მოუხიე, მოუჭირე) სათოხლაგი (საჭმელი), ქელეზი (ძაღვი, გადატანითი მნიშვნელობით პოლიციელი), შეკერი (ტყუილი), ქესეფი (ფული), ქონაქი (ცუდი, უვარგისი), მოუგადოლე (მოუგე), მოსატოვებელი (მიამიტი, ადვილად მოსატყებელი მუშტარი, დერეხელეს (წავედით, ან მოშორდით მანდედან, ან გაჩუმდით, ან მორჩა ამბავი) და სხვა...

ფრაზები კი - ასე გაისმოდა:  
- ეატონი არ დაუქამო(კაპიკი არ დააკლო);  
- შენს მამონს მე მივხრიდი და რასაც მოვუგადოლე, სავახეზო იყოს(-შენს საქონელს მე მივეყიდი და რასაც მოვუგებ, სანახევრო იყოს).  
- დღეს ტობათ ვისოხარე, მაგრამ ქელეზმა შოხადი წამართვა (დღეს კარგად ვივაჭრე, მაგრამ მილიციელმა ქრთამი წაიღო)  
სურამში დღესაც სიცილით იხსენებენ: ვაჭარ დანიელს „ობეხე“ დაეცა და სახლის ჩხრეკა უნდა ჩაეგარებინათ. სისხამი დილაა. ჭიშკარი დახვდათ დაკტილი და იქვე, მეზობელ ებრაელს, რომელიც ქუჩაში იდგა, უთხრეს დაეძახებინა. იმანაც დაუხარულად შეასრულა „ბრძანება“: - დანიელ, ფანიელ (დანიელ, დაიმაღლე), - ათი წუთი გაჰკიოდა თურმე. ერთი პირობა კი შეეჭვებულან და ეს ფანიელი რა არისო - უკითხავთ. დანიელის ზედმეტი სახელია, ასეც ვეძახით ხოლმეო, - უთქვამს. დანიელიც რა ჩიტი იყო, გამოჩენილიყო.

დიახ, ეს სლენგები თუ ჟარგონები, ებრაელთა დიდ აღიამდე, ძალიან აქტუალური იყო და მას მთელი სურამი (განსაკუთრებით ახალგაზრდები) ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებდა. მათ არც დღეს დაუკარგავთ „აქტუალობა“, ისეთი სისხირით, რა თქმა უნდა, ახალა მისი გამოყენება აღარ ხდება, თუმცა ნებისმიერი სურამელისთვის დღესაც ნაცნობია ეს სიტყვები და მისი გადათარგმან არავის სჭირდება.

და ბოლოს, როგორც ნანული ცხვედიანი აღნიშნავს, ეს თემა ენათმეცნიერებისათვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს და შესწავლის საგანიც უნდა გახდეს - სლენგში დატეული ფონეტიკური მოვლენებისა და სხვა საინტერესო ენობრივი წიაღვსლების გამო.

გ. გოგოლაძე

სურათზე: ებრაელთა ყოფილი უბანი სურამში.

### ტრენინგი ფერმერებისათვის

მარტის თვეში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს IFAD-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „შერჩეული საწარმოო ჯაჭვებისათვის კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვა ტრენინგებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების საშუალებით“ ფარგლებში, ჩატარდა გაცვლითი ტური ზუგდიდში, სადაც ხაშურელმა ფერმერებმა და სოფლის მეურნეობით დაინტერესებულმა პირებმაც მიიღეს მონაწილეობა. ტრენინგის მონაწილეებმა მონახულეს ხობის რაიონში, სოფელ ხამისკურსა და ახალსოფელში ამ პროექტით დაფინანსებული ორი ბენეფიციარის დაფნის სადემონსტრაციო ნაკვეთი და ვერმიკომპოსტისა და კონსერვაციული სოფლის მეურნეობის სადემონსტრაციო მოდელი.



ღალი გოგინავა(ექსპერტი მეკენკრეობა-მეხილეობაში): - ჩვენ ვიმყოფებით ხობის რაიონში, სოფელ ხამისკურში ბატონი რევაზ კუკავას დაფნის სადემონსტრაციო ნაკვეთში, სადაც დამონტაჟდა მორწყვის წვეთოვანი სისტემა და მას გადაეცა ერთი წლის ბიოსასუქების მარაგი. რაც შეეხება დაფნას იგი მრავალმხრივი გამოყენების მცენარეა, მათ შორის ძვირფასია ეთერზეთების წარმოებაში, რომელიც საკმაოდ ძვირად ფასობს. დაფნა ადვილად მრავლდება ამონაყრებით, გადაწვენით, მაგრამ ზოგადად თესლით ამრავლებენ - ერთ ჰექტარზე 500 კგ-ია საჭირო. დაფნა არის ორნაირი მრგვალი ფორმის და ლანცეტისებური. არსებობს დაფნის ორი სახეობა: კანარის და კოლხური. ჩვენთან კოლხური დაფნაა და მისი გენეტიკური სამშობლო სწორედ საქართველოა. ამ რეგიონში დაფნას ძირითადად აბარებენ. მისი ჭრა დარგვიდან მეხუთე-მეექვშე წელს იწყება, მხოლოდ მთლიანი ტოტის, ტოტებს გაახმობენ, თუმცა მზისგან დაცულ ადგილას, რადგან ფოთოლმა ფერი არ უნდა შეიცვალოს. დაფნისთვის საზღვარგარეთის ბაზარიც დია, განსაკუთრებით რუსეთში, ამ ქვეყნიდან

მოსთვინა საკმაოდ მაღალია.

ფერმერები, აგრეთვე, იმყოფებოდნენ სოფელ ახალსოფელში გიორგი გორგაძესთანაც, რომელიც ნიადაგის ნაყოფიერების მიზნით ამზადებს ორგანულ სასუქს ე.წ ბიოჰუმუსს. ვერმიკულტივირება ეს არის ბიო-ტექნოლოგიის ახალი მიმართულება, რაც გულისხმობს ჭიაყელების სპეციალურად მოშენებას და შემდეგ ორგანული სასუქის მიღებას. პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარს აუშენდა თერმო პანელის შენობა, სადაც განათავსეს 20 კგ. ჭიაყელა, რომელსაც



ათავსებენ ნახევრად გამომწვარ საქონლის ნაკელში, აუცილებლად გარეცხილ მდგომარეობაში, ჭიაყელა მას გაადაამუშავებს და მიიღება ბიოსასუქი - ბიოჰუმუსი.

თ. ახალკაცი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ბმ“ #5, 6, 7, 9, 11)

ბულბულის ციხე – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქაღის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. შოლას (მტკვრის მარცხენა შენაკადი) სათავეში, ზ. დ. 840 მ. ხაშურიდან დაშორებულია 12,5 კმ-ით, ლიხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 4კმ-ით.

მისი ძველი სახელწოდებაა ციხისძირი „ქვიშეთს ზეთ, შოლაზედ არს ციხისძირს ციხე“– ასე აღწერს დღევანდელი ბულბულისციხისა (უწინდელი ციხისძირი) და მისი ციხის გეოგრაფიულ მდებარეობას ვახუშტი ბატონიშვილი.

ციხისძირის იცნობს იოანე ბატონიშვილიც და სააბაშიოს სოფლების აღწერისას აფიქსირებს. ამ დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

ქართულ საისტორიო მწერლობაში მოიხსენიება XVIII საუკუნიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე აქ დასახლება არ არსებობდა. ამის უტყუარი საბუთია თავად ციხისძირის ციხის არსებობაც, რომლის დანიშნულება ქართლიდან იმერეთში გადასახლდელი გზის კონტროლი და ხელთქონება იყო. ამდენად, იგი ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილია ხაშურის რაიონში.

1711 წელს, ქიხოსრო მეფე ვახუშტი აბაშიძეს უქოლ „გადაგებული“ პაატა აბაშიძის სხვა მამულებთან ერთად აძლევს ციხისძირს.

1715 წელს, რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით, აქ 11 კომლია (ჩხეიძე, ყიფიანი, კიკნაძე, ჩანჩიძე(2), გომარელი...).

XVIII საუკუნის განმავლობაში, ციხისძირმა მრავალჯერ განიცადა ლეკთა თავდასხმები. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა მოხდა 1731 წლის ივლისში. ს. ჩხეიძე აღნიშნავს, რომ ლეკები იმერეთიდან გადმოვიდნენ ქართლში და ციხისძირი წაახდინეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული თითქმის სისტემატური ხასიათი ჰქონდა ლეკთა თავდასხმებს. ამაზე მეტყველებს ცნობილი ლეკენდა ბულბულისციხეზე და ტოპონიმიკური მასალა.

XVIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ციხისძირი, ლეკებთან ერთად, არაერთგზის დაილაშქრა ყიზილბაშების მხრიდან. 1737 წელს, სეფი-ხანმა „დიდის ჯარით“ მთელი ქართლის ძირითადი ციხეები აიღო. ყიზილბაშები „მიუხდნენ ვახუშტი აბაშიძეს, აიღეს ციხისძირი...“ იმავე მოვლენებს ჰქონდა ადგილი მომხდურთა მხრიდან გვიგ ამილახორის ყიზილბაშების წინააღმდეგ ცნობილი აჯანყების დროსაც, რადგან ვახუშტი აბაშიძე ერთი პერიოდი აჯანყებულების მხარეზე იყო.

XIX საუკუნიდან ციხისძირი ბულბულისციხის სახელწოდებით არის ცნობილი. ასე გვხვდება თანადროულ ლიტერატურაში.

1886 წელს აქ 23 კომლი მოსახლეა (84 კაცი და 85 ქალი, სულ 169 კაცი), ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია და მისი დიდი ნაწილი (20 კომლი) გადმოსულია დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან.

ბულბულისციხეში სახლობენ გვარები: ბლიაძე, გელაშვილი, გვარამაძე, გოგალაძე, გრიგალაშვილი, კაკიაშვილი, კიკნაძე, ლაბაძე, მაღლაკელიძე, საღუნისვილი, სხილაძე, ტაბატაძე, ღონდაძე, ყინწალაძე, ჩინწიკაძე, ხაჩიძე.

სახელწოდება ორივე შემთხვევაში (ბულბულისციხე, ციხისძირი) სიტყვათშეერთებით არის მიღებული. პირველ შემთხვევაში მსაზღვრელი (ციხე) და საზღვრული (ძირი) ორივე არსებითი სახელია. ქართული სინამდვილე რამდენიმე ციხისძირს იცნობს (კასპის რ-ნი, ქობულეთის რ-ნი, და სხვა). მეორე შემთხვევაშიც ანალოგიური სიტუაციაა. აქაც მსაზღვრელი (ბულბული) და საზღვრული (ციხე) არსებითი სახელია.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს სახელწოდება XVI ს-ში მოხსენიებულ აზნაურ ბუნბულისძეთა ცნობილი გვარიდან მოდის.

ხალხური გადმოცემით კი, იგი დაკავშირებულია ქაღის – ბულბულას სახელთან, რომელიც ლეკებთან ბრძოლის დროს იცავდა ციხეს და აქ დაიდგა.

ლგენდა მოგვითხრობს, რომ ლეკთა ერთ-ერთი შემოსევის დროს, ქართველთა რაზმს ბულბულა მეთაურობდა. ხალხი ციხეში გამაგრებულა. მტერმა ციხე ვერ აიღო. მაშინ მათ სახედრის საშუალებით მიაგნეს წყალსადენს, რომლითაც წყალი მიეწოდებოდა ციხეს და მიღები ამოყარეს. წყალსადენის აღდგენა ბულბულამ იკისრა, საიდუმლო გზით გავიდა ციხიდან წყლის მიღების შესაკეთებლად. ამ დროს ის ლეკებმა შეიპყრეს და ციხეში შესასვლელი გზის ჩვენება მოთხოვეს. ბულბულამ მცდარი გზა აჩვენა, რათა მტერი ციხეს დიდი მანძილით მოშორებოდა. ამ დროს მან შეაკეთა მიღები და ციხისკენ გაიქცა საიდუმლო გზით. ბულბულას ლეკების ნაწილი უთვალთვალებდა და ციხეში შეჭვა: ხელჩართულ ბრძოლაში მრავალრიცხოვანმა მტერმა სძლია ქართველებს, ბულბულა ნაკურნად აქციეს. ამ დროიდან ამ ციხესა და სოფელს „ბულბულისციხე“ უწოდეს.

გ. ბედოშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ სიტყვა „ციხე“ და მისი ზანური შესატყვისი „ჯიხა“ ძალზე ხშირად გვხვდება საქართველოს ტოპონიმიაში. იგი გვხვდება მთელ რიგ ტოპონიმებში: ციხედავი (სოფელი დუშეთის რ. მჭადიჯურის სას. საკ.), ციხედიდი (ქ. მცხეთის შემოგარენში), ს. ძეგვისა და მარტაბისხევის შორის), ციხისძირი (სოფლები ეწოდება მცხეთის, ხარაგაულის და ქობულეთის რაონებში). ქსნის ხეობაში (ახალგორის რ.) არის ციხისოფელი, ტყბულის საქალაქო საბჭოში (კურნის სას. საკ.) კი – სოფელი ციხეა. ციხიანი სოფელი მთიულეთში (დუშეთის რ.), ციხისუბანი ეწოდება სოფლებს ადიგენის, ვანის და დუშეთის რაონებში. ციხისფრდი სოფელი გურიაში (ოზურგეთის რ.), ციხისჯვარი კი სოფელია ბორჯომის რაიონში, მდ. შავიწყლის (ბორჯომულას ერთ-ერთი შენაკადი) სანაპიროზე. საკმაოდ ბევრი ტოპონიმია რომელშიც საზღვრულ ფუძედ სიტყვა ციხე ფიგურირებს: ქვაციხე, დაბლაციხე, ახალციხე, ვარციხე, ბაკურციხე, ბუკისციხე, ველისციხე, ქუშლისციხე, უფლისციხე, გორისციხე და მისთ. შდრ. აგრეთვე ზანური წარმოშობის ტოპონიმები: ჯიხა, წალენჯიხა, ჯიხაშვარი, ჯიხანჯირი და სხვა.

სოფლიდან 1,5 კმ-ის დაშორებით, შემადგენელ გორაზე მდებარეობს ბულბულის ციხის (ციხისძირის) ციხე, რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანის დასაწყისი პერიოდით უნდა თარიღდებოდეს. იგი ჩვენამდე ნანგრევების სახით არის მოღწეული. ციხის აღმოსავლეთით, სერზე ოთხკუთხა კოშკის ნანგრევებია.

სოფლის ჩრდილო დასავლეთით, სასაფლაოზე, შემორჩენილია ტასორის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, რომელზეც გასული საუკუნის 70-იან წლებში აუშენებიათ დღევანდელი ნაგებობა. ეს ეკლესია უნდა იყოს ეთაყიშვილის „სამ ისტორიულ ქრონიკში“ პარხლის ხელნაწერთან დაკავშირებით მოხსენიებული ბულბულის ციხის წმინდა გიორგის ეკლესია.

ბულაურა – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთის ძირას, მდ. შუქლელის (სურამულის მარცხენა შენაკადი) შესართავთან. ხაშურიდან დაშორებულია 6 კილომეტრით, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 2 კმ-ით. ზ.დ. 790 მ. შედის სურამის სადაბო საკრებულოში.

მას არ იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები. არ გვხვდება რუისის სამწყსოს დავთარშიც. 1886 წლის აღწერით, ბულაურაში 20 კომლი მოსახლეა (52 კაცი და 47 ქალი, სულ 99 კაცი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

ბულაურა დღეს სურამის ერთ-ერთი უბანია.

სახელწოდება ბულაურა მომდინარეობს ბულაური სიტყვიდან, რასაც საბა ასეთ განმარტებას აძლევს: „სვეტის თავი, ბოძის თავი“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით, ბულაური სვეტის თავია, მასზე დადებული ბალიშია, რომელზედაც დაყრდნობილია მთავარი ძელი, კოჭი, რომელიც ხშირად დაჭრელებულია. არის ასეთი ხატოვანი გამოთქმა–„შენ რაღა ბულაურებს მიჭრელებდი?“ ე.ი. შენ რაის მიკეთებდი?..

ბულაურაში შემორჩენილი იყო წმ. მარინეს ეკლესიის ნანგრევები, რომელზეც XX ს-ის 90-იან წლებში ააშენეს დღევანდელი ნაგებობა.

გარეზმანი – ნასოფლარი, მისი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. მდებარეობდა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ვვიქრობთ, უნდა ყოფილიყო კრისხევთან და ლუდასთან ახლოს.

დასტურდება ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში.

ციცი (ციციშვილსა) და მამუკა მადრადეს შორის სამამულე დავის განჩინების წიგნის თანახმად, გარეზმანში სოდაბუნი დარჩა მამუკას (XVII ს-ის ბოლო)

გვერდისუბანი – სოფელი, მდებარეობს სურამის დასავლეთით, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე. შედის სურამის სადაბო საკრებულოში, ხაშურიდან დაშორებულია 4 კილომეტრით, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 0,5 კმ-ით, ზ.დ. 800 მ.

ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. აქ შემთხვევით, ყოველგვარი არქეოლოგიური გათხრების გარეშე, აღმოჩენილი მასალა თარიღდება ანტიკური და ადრეფეოდალური ხანით.

ვახუშტი ბატონიშვილი მას არ იცნობს. არ იცნობს იოანე ბატონიშვილიც. თუმცა 1584 წლიდან გვხვდება სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტში.

სახელწოდება გვერდისუბანი სიტყვათშეერთებით არის მიღებული. მსაზღვრელი აქ „გვერდია“, ხოლო საზღვრული „უბანი“, ორივე არსებითი სახელია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ს. ს. ორბელიანის ერთ-ერთი განმარტებით, გვერდი (გვერდი) „მთათ(ა) დამრეცი“, დაფერდებული ადგილია. გვერდისუბანი ასეთ დამრეც, დაფერდებულ ადგილზეა გაშენებული. სახელწოდება გვერდისუბანი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ იგი რომელიმე დასახლებული პუნქტის (დაბის, სოფლის), გვერდით მდებარე უბანია. გამოვთქვათ ვარაუდს, რომ გვერდისუბნისათვის ეს დასახლებული პუნქტი (დაბა, სოფელი) სურამი უნდა იყოს.

ამაზე რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარიც მიგვანიშნებს. დავთარში სურამის მოსახლეობის პარალელურად აღწერილია „ზე სურამის“ მოსახლეობაც. ს. ს. ორბელიანს „ზე“ განმარტებული აქვს როგორც „ზეით, გინა აღმა“. „ზე სურამი“ ზემო სურამს ნიშნავს და ამ შემთხვევაში იგი შემდგომი პერიოდის გვერდისუბანი უნდა იყოს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გვერდი „მთათა დამრეცი“, დაფერდებული ადგილია, გვერდისუბანი სურამისთვის მართლაც „ზეით, გინა აღმა“ დამრეც, დაფერდებულ ადგილზე მდებარეობს.

რუისის დავთრის მიხედვით, აქ (ზე სურამში) სახლობს 15 კომლი (მთიულიშვილი, გვერდისუბანი (4), ბებიაშვილი, ქურდაძე, ღარეშიშვილი, ცხრელაშვილი, ყიმშიძე, ადობლიშვილი, ჩოლაყაშვილი, მუშლაძე, ბარბაქაძე). ზოგიერთი აქ მოსახლე გვარი გვხვდება გვერდისუბნის შესახებ არსებულ ზოგიერთ დოკუმენტში, რაც ზემოთ აღნიშნულ – ზე სურამის გვერდისუბნის იდენტურობაზე მიგვანიშნებს.

სხვათა შორის, 1584 წელს, გიორგი ბატონიშვილი იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიას სწორედ გვერდისუბანში სწირავს ზოგიერთი გვარის წარმომადგენლებს, რომლებიც ზე სურამში არიან 1715 წელს დაფიქსირებული. სიგელში ნათქვამია, რომ გიორგიმ იტრიის ეკლესიას შესწირა „გვერდისუბანს გვერდისუბანი იოვანე მისის მამულითა, რისაც მქონებულნი ყოფილან, კიდევ გვერდისუბანს შიშნაშვილი ბეჟიტა და მისი შვილნი ღვინიაურის მამულითა, ბურთიაშვილი ქავთარაი და მისნი შვილნი მისით მამულითა“

დოროთეოს კათალიკოსის იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის ცნობილ სიგელში, რომელიც 1584 წლის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი, გვერდისუბნის ნაცვლად გვხვდება „ზე სურამი“, ეკლესიისათვის შეწირული გვარები კი იგივეა. დოროთეოზი აღნიშნავს, რომ მან იტრიის ეკლესიას შესწირა:

„ზე სურამს ბურთიაშვილი, ორნი განაყოფნი, მათის შვილებითა და მომავლითა... კიდევ ზე სურამს გვერდისუბანი იოვანე მისი შვილებითა და მომავლითა. კიდევ შიშნაშვილი ბეჟიტა, მისი ღვინიასეული მამულითა და მისი შვილებითა და მომავალითა“

თითქმის ერთდროულად შექმნილი ამ ორი დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ზე სურამი და გვერდისუბანი ერთი და იგივეა და რუისის სამწყსოს დავთარშიც მოხსენიებული ზე სურამი სხვა არაფერია, თუ არა გვერდისუბანი.

აქ, 1728 წელს, 26 კომლი მოსახლეა. სხვა ინფორმაცია თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში არ არის.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, XVII საუკუნიდან იგი იტრიელი ჩხეიძეების კუთვნილი მამულია. ამაზე მიგვანიშნებს სეფი-ხანის 1737 წლის ერთ-ერთი ბრძანება. გიორგი აბაშიძის 1797 წლის ვალის ანაზღაურების წიგნიდან ირკვევა, რომ გვერდისუბანი მის მიერ არის ნაყიდი და ვალში აძლევს თავის მუუღლეს, ქიხიყის მოურავის ასულს – ანას. ....ეს ჩემი ნასყიდი შენის თუთრით გვერდისუბანი მომიცია, ტუკაძის და ქურდაძის და მახინაშვილის მამული“.

გვერდისუბანმა XVIII საუკუნის განმავლობაში მრავალჯერ განიცადა ლეკთა თავდასხმები. 1732 წელს რაიონის სხვა სოფლებთან ერთად ლეკებმა ააოხრეს გვერდისუბანი. გვერდისუბანში სახლობენ გვარები: თიგიშვილი, კვერნაძე, კიკაძე, კობალაძე, კუხიანიძე, ლახარაშვილი, ლაცაბაძე, მისურაძე, მულაძე, მჭედლიძე, ნოზაძე, პაპუაშვილი, სადლობლაშვილი, სამხარაძე, სირბილაძე, ტარიელაშვილი, ტურაშვილი, ფანქველაშვილი, ქათამაძე, ქალიაშვილი, ქარელიძე, ქიმაძე, ქურდაძე, დამბარაშვილი, დანთაძე, ღონდაძე, შუბითიძე, ჩადუნელი, ჩიკვაძე, ცაცანაშვილი, ცუხიშვილი, ცუცქირიძე, წიქარიშვილი, საბულიანი, ხარაიშვილი, ხაჩიძე, ჯოსაძე, ლომიძე...

ამავე სახელწოდების სოფელი გვაქვს ბორჯომის რაიონში.

გომი – სოფელი, მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გაშლილ ველზე, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ, სასოფლო საკრებულოს ცენტრი (გომი, ვაყა, აგარები, სატივე, ხიდისყური, ქვემო აძვისი). რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 12 კილომეტრით. იქვე რკინიგზის სადგური. ზ.დ. 640 მ.

გომი ცნობილია ზემო გომის სახელწოდებითაც. (ქვემო გომი იხ. კასპის რ-ნში), ამავე სახელწოდების სოფლები გვაქვს ოზურგეთისა და ონის რაიონებში.

გომს იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები. თუმცა ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში არ გვხვდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილს სამწევრისთან ახლოს რუკაზე დატანილი აქვს ორი გომი, ერთი მტკვრის მარჯვენა, ხოლო მეორე - მარცხენა მხარეს.

1886 წლის აღწერით, გომში 88 კომლი სახლობს (180 კაცი და 111 ქალი, სულ 291 კაცი), ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, ქართველი იყო 30 კომლი, რუსი–3, ოსი–46, სომეხი–5, და გერმანელი–4.


გომის დაწინაურებას ხელი შეუწყო ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ (1872 წ.). აქ გაიხსნა რკინიგზის სადგური, რამაც იგი მის ახლომახლო მდებარე სოფლების ცენტრად აქცია. ამ ფაქტმა განაპირობა ის გარემოებაც, რომ აქ, მოგვიანებით (1897 წ.), დაარსდა გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის დეპო, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზემო ქართლში სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებაში. იგი მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

### ახალი წიგნის პრეზენტაცია

21 მარტს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა მაცვალა ხაჩიძის ახალი წიგნის პრეზენტაცია, სახელწოდებით „საუკუნის გასაყარზე“. წიგნში თავმოყრილია ქალბატონი მაცვალას მრავალწლიანი ნამოღვაწარი. ჟურნალისტური თუ მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები და ა.შ. თემები, რომლებზეც ის წერდა, მრავლისმომცველი გახლდათ: ქართული ენა, ისტორიული ძეგლები, მუსიკალური და ლიტერატურული ცხოვრება, სპექტაკლები, ეროვნული მოძრაობა, დაკარგული ტერიტორიები, ლტოლვილთა სევდა და სხვა. წერილები, რომლებმაც ერთ წიგნში მოიყარა თავი, აქტუალურობას დღემდე ინარჩუნებს და ავტორის განცდების, გულისტკივილს, შინაგანი სამყაროს საუკეთესო გამომხატველია. მაცვალა ხაჩიძე ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილეც იყო და წიგნში შესულია, აგრეთვე, გაზეთში გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც საოცარი პროფესიონალური ოსტატობითაა შექმნილი და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მატანეს წარმოადგენს. დღესდღეობით, ის ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელია და პირნათლად მიჰყვება ცხოვრების არჩეულ გზას. მურად მთვარელიძე, რომელიც წიგნის რედაქტორია, აღნიშნავს: „მკითხველი სიამოვნებით გადაშლის ამ წიგნს და მათში კიდევ ერთხელ ამოიკითხავს ჩვენ გვერდით მცხოვრები შემოქმედი ქალის სულის მოძრაობას და იმ დიდ სიყვარულს, რის გარეშეც მას ერთი დღეც არ უცხოვრია“.



- თავისუფალი ჭიდაობა -

### ნახმატება ჩოხატაუხში

8-10 მარტს, ჩოხატაურში, ჩატარდა ტრადიციულად დაღუპული მოჭიდავეების ზურაბ ბიბინიძის და ხვინა ცინცაბაძის სახელობის VIII რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ტურნირს, რომელიც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა, მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრმა უმასპინძლა. მუნიციპალიტეტის სპორტდარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა საინტერესო პაექრობები ჭაბუკთა შორის, ტურნირში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების 30 გუნდი, 280 მოჭიდავე მონაწილეობდა. ხაშურელმა მოჭიდავეებმა ამ შეჯიბრზე მოიპოვეს სხვადასხვა სინჯის თერთმეტი მედალი.

პირველი ადგილები დაიკავეს: 29 კგ. ლევან ნოზაძემ, 38 კგ. ლაშა ლომიძემ და 48 კგ. გოგა მულაძემ. მეორე ადგილებზე გავიდნენ: 35 კგ. გიორგი კაპანაძე, 57 კგ. გიორგი ლაბაძე, 55 კგ. დიმიტრი პეტრიაშვილი, 38 კგ. გიორგი ცუცქირიძე. მესამე ადგილები მოიპოვეს: 42 კგ. გუჯა ლომიძემ, 42 კგ. გიორგი თედეშვილმა, 57 კგ. გიორგი მჭედლიძემ და 85 კგ. ნიკა სულაძემ.



### მუსიკალური სტუდია „დაიმონდი“ იწვევს მოსწავლეებს

მუსიკალური სტუდია „დაიმონდი“ იწვევს მუსიკალური განათლების მქონე და არმქონე მოსწავლეებს პოპულარული, კლასიკური და სხვა ჟანრის მუსიკის შესასწავლად ასაკის მიუხედავად. რეპერტუარი შეირჩევა მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით. მეცადინეობებს წარუძღვება სოფო საჟინიანი.

სტუდიაში შეისწავლება:

- საესტრადო ვოკალი;
- თანამედროვე ინგლისური და ქართული სიმღერები;
- მეტყველება;
- სასცენო ოსტატობა;
- მუს. ლიტერატურა.

სტუდიის მოსწავლეები სისტემატურად მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში.

მეცადინეობები გაიმართება შაბათ-კვირას, დღის 2 საათზე.

მის: რუსთაველის #48.

ტელ: 551 55 09 19

ორმოცი დღე გავიდა უშენოდ. მოვიდა წამი, როდესაც შენი ულამაზესი სული მარადიულობას შეუერთდება და მიწიერ ცხოვრებას დაამთავრებს. სული, რომელიც ასეთი მშვენიერი იყო ყველასთვის, ვინც კი გიცნობდა.

უფალი თითოეულ ინდივიდს საკუთარი ცხოვრების წესს უდგენს. შენ ცხოვრების წესად სიკეთის კეთებას და დაგვიანონა და შენც წუთითაც არ გადაგიხვევია უფლის ნებისაგან – მთელი სიცოცხლე სიკეთის ქმნას შეალიე. გქონდა სირთულეები, როგორ არ გქონდა, მაგრამ შენი პეშე-პეშე ნაგროვი სიკეთე გინათებდა გზას და ამ სირთულეების დაძლევაში გეხმარებოდა. ღრმად გეწამს, იქ, ზეციურ საუფლოშიც ასე იქნება და ისიც გეჯერა, ანგელოზები მუდამ შენს გვერდით იქნებიან.

ულამაზესი ოჯახი დატოვე, ციალა. მეუღლემ, შვილებმა და შვილიშვილებმა დღემდე ვერ შეიშრეს ცრემლი. ისინი შენი ცხოვრების გამართლება არიან და სწორედ ისეთები, ყველა ღირსეულმა ქალბატონმა რომ უნდა იოცნებოს.

იმამიც განსაკუთრებული იყავი, რომ საკუთარის გარდა, ყველა შენი აღსაზრდელიც შვილებად მიგანჩნდა – იმდენი ენერჯია და რაც მთავარია, სიყვარული ჩადე მათში, რომ სხვაგვარად არ შეგეძლო. ეს სიყვარულია შენი მოსწავლეების მეგზური დღესაც და არავის უკვირს, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა სამშობლოს ნამდვილ და განათებულ პატრიოტებად იქცნენ – შენი მიზანიც ხომ ეს იყო მუდამ.

ყოფილა პერიოდები, როდესაც რამდენიმე თვეც არ გვიხანავს ერთმანეთი, ახლა კი ამ ორმოც დღეში, თითქოს საუკუნე ჩაეტია, იმდენად მძაფრია მონატრების გრძნობა.

ფლოქეტებზე ნაბადაკრული ბედაურივით უჩუმრად მირბის დრო. გავა თვეები, წლები, მაგრამ იმ სიყვარულს, რაც შენგან დაგვრჩა, დროის რბოლა არასოდეს შეეხება და ასე იქნება სულ. შენს სახელზე ანთებული კელაპტარი კი მუდამ იკიაფებს.

### ციალა წერეთლის ხსოვნას

შენ ცხოვრების წესად სიკეთის კეთებას და დაგვიანონა და შენც წუთითაც არ გადაგიხვევია უფლის ნებისაგან – მთელი სიცოცხლე სიკეთის ქმნას შეალიე.



შენი მეგობრები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.